საინფორმაციო ბარათი

საცხიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი

www.rta.gov.ge

ვინ არის სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი?

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი (შემდგომში - სპეციალისტი) არის სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემულ შესაბამის სერტიფიკატს.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის დანიშვნის ვალდებულება

სახიფათო ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის უზრუნველსაყოფად, **იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა მოიცავს სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვას ან/და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას** (სახიფათო ტვირთის შეფუთვას, დატვირთვას, გადმოტვირთვას ან/და დახარისხებას) **ვალდებულია, ჰყავდეს ერთი ან ერთზე მეტი სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი.**

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის ძირითადი ფუნქციები

სპეციალისტის ძირითადი ფუნქციაა სახიფათო ტვირთის გადაზიდვის ან/და მასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვის ხელშეწყობა სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო რეგულაციებითა (RID/SMGS) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის მოვალეობები

სპეციალისტის საქმიანობა მოიცავს კომპლექსურ მიდგომას, რაც სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

მონიტორინგი - ახორციელებს სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო რეგულაციებისა (RID/SMGS) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს;

რეკომენდაციების გაცემა - გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს იურიდიული პირისთვის, სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად;

ანგარიშგება

იურიდიული პირისთვის **ამზადებს წლიურ ანგარიშებს:**

- ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან 60 დღის ვადაში;
- სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის XII დანართით განსაზღვრულ ფორმაში;
- თითოეული ანგარიში ინახება მომზადებიდან - 5 წლის განმავლობაში;
- ანგარიში მოთხოვნისთანავე წარედგინება სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს და სხვა უფლებამოსილ ორგანოს;

ამზადებს შემთხვევის ანგარიშებს - იმ შემთხვევაში, თუ სარკინიგზო შემთხვევა ან ინციდენტი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ქონებაზე ან გარემოზე, სახიფათო ტვირთის გადაზიდვის, შეფუთვის, დატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს.

სპეციალისტის დანიშვნის სამართლებრივი საფუძვლები – ვალდებულების გავრცელება

სპეციალისტის ყოლის ვალდებულება ვრცელდება შემდეგ იურიდიულ პირებზე:

- **სარკინიგზო საწარმოზე,** რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვას
- **ტვირთგამგზავნზე**, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით გადაზიდვის მიზნით, გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, გადამზიდველს გადასცემს სახიფათო ტვირთს
- **იურიდიულ პირზე, რომელიც ტვირთგამგზავნისთვის** მომსახურების გაწევის ფარგლებში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, **ახორციელებს** გადაზიდვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს: **შეფუთვას / დატვირთვას / შევსებას**
- **ტვირთმიმღებზე, რომელიც ახორციელებს** სახიფათო ტვირთის **გადმოტვირთვას**
- **იურიდიულ პირზე, რომელიც ტვირთმიმღებისთვის** მომსახურების გაწევის ფარგლებში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, **ახორციელებს** სახიფათო ტვირთის **გადმოტვირთვას**
- **იურიდიულ პირზე, რომელიც ახორციელებს** სახიფათო ტვირთის **დახარისხებას**

გამონაკლისები – რა შემთხვევაში არ ვრცელდება სპეციალისტის დანიშვნის ვალდებულება

სპეციალისტის დანიშვნა სავალდებულო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

- როცა ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები **სარგებლობს სხვა ორგანიზაციის მომსახურეობით**, რომელსაც უკვე ჰყავს სპეციალისტი და ის ასრულებს დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოებს

- როცა ორგანიზაცია ასრულებს შეფუთვის ან დატვირთვის სამუშაოებს იმ ტვირთთგამგზავნისთვის, რომელსაც უკვე ჰყავს სპეციალისტი

- როცა სახიფათო ტვირთის გადაზიდვა ხდება საქართველოს თავდაცვის ძალების სარკინიგზო ტრანსპორტით ან პასუხისმგებლობა მათზეა

- როცა სახიფათო ტვირთის გადაზიდვა ხდება მცირე ოდენობით, სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო რეგულაციების (RID/SMGS) გათვალისწინებული გამონაკლისების ფარგლებში:

  - შეზღუდული ოდენობებით გადაზიდვა (LQ);

  - გათავისუფლებული ოდენობების გადაზიდვა (EQ);

  - ერთი ვაგონით ან დიდი კონტეინერით გადასატან მაქსიმალურ საერთო რაოდენობებთან დაკავშირებული გადაზიდვები (RID-ის 1.1.3.6)

ვინ იღებს გადაწყვეტილებას სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ?

სპეციალისტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იურიდიული პირი, მისი საქმიანობის მასშტაბისა და გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, ისე რომ **შესაძლებელი იყოს სპეციალისტის მიერ საკუთარი მოვალეობების ეფექტურად განხორციელება** და უზრუნველყოფილი იყოს სახიფათო ტვირთთან დაკავშირებული ოპერაციების უსაფრთხოება.

სპეციალისტის **ფუნქცია - მოვალეობები უნდა განისაზღვროს წერილობითი ფორმით**, ხოლო იურიდიული პირი ვალდებულია უზრუნველყოს სპეციალისტის საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციის, დამხმარე მოწყობილობებისა და აღჭურვილობის მიწოდება.

იურიდიულმა პირმა სააგენტოს უნდა აცნობოს სპეციალისტის ვინაობის შესახებ მისი განსაზღვრიდან 30 დღის ვადაში.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომელსაც სურს მიიღოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატი?

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღებად პირმა უნდა გაიაროს სწავლება სააგენტოს მიერ აღიარებულ სასწავლო დაწესებულებაში და წარმატებით ჩააბაროს გამოცდა სააგენტოში.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი დაწესებულება

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის **სასწავლო დაწესებულება** არის იურიდიული პირი, რომელიც სააგენტოს მიერ აღიარებულია, როგორც სწავლების განმახორციელებელი დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სასწავლო დაწესებულების **სტატუსის აღიარებას ახორციელებს სააგენტო.**

სასწავლო დაწესებულების აღიარების მიზანია იმ სწავლების განმახორციელებელი დაწესებულების აღიარება და რეესტრში აღრიცხვა, რომელიც უფლებამოსილი იქნება, პირს მისცეს შესაბამისი ცოდნა სახიფათო ტვირთების გადაზიდვის, მასთან დაკავშირებული საქმიანობისა და სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის მოვალეობების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლება

სწავლების მიზანია პირისთვის შესაბამისი კომპეტენციის შეძენა, რაც გულისხმობს სახიფათო ტვირთთან დაკავშირებული თანმდევი რისკების გაცნობიერებასა და სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობების შესახებ ცოდნის მიღებას სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო რეგულაციებითა (RID/SMGS) და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის **სწავლება** ტარდება ქართულ ენაზე და **მოიცავს** სააგენტოს მიერ დამტკიცებულ სასწავლო თემატიკას.

სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 48 აკადემიური საათით.

სწავლებაზე დაიშვება პირი 18 წლის ასაკიდან, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობის საფუძველზე.

სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ **სასწავლო დაწესებულების მიერ პირს გადაეცემა** სერტიფიკატი, რომლის ფლობის საფუძველზე პირი დაიშვება სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღებ გამოცდაზე.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღები გამოცდა

გამოცდა ტარდება სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, ქართულ ენაზე, ელექტრონული ტესტირების მეთოდით.

სააგენტო ადგენს გამოცდის ჩატარების თარიღს, რომელიც ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

გამოცდის მიზანია პირის შემოწმება, გააჩნია თუ არა ცოდნის საჭირო დონე სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან, შეფუთვასთან, დატვირთვასა და გადმოტვირთვასთან დაკავშირებული თანმდევი რისკების, ასევე იმ მოვალეობების შესახებ, რომლებიც სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო რეგულაციებითა (RID/SMGS) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტისთვის.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღები გამოცდის საკითხები შეირჩევა სასწავლო თემატიკის შესაბამისად.

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღები გამოცდის ფორმატი

გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: ტესტური დავალებები და პრაქტიკული დავალებები.

ტესტური დავალების ფარგლებში, გამოსაცდელისთვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა 40 ტესტური დავალება.

თითოეულ ტესტურ დავალებაზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. გამოცდის ტესტური დავალების ნაწილი **ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელმა დააგროვა არანაკლებ 30 ქულა.**

პრაქტიკული დავალების ფარგლებში, გამოსაცდელისთვის ელექტრონულ ფორმატში, ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა 5 შემთხვევის ანალიზი/სიტუაციური ამოცანა.

გამოცდის თითოეულ პრაქტიკულ დავალებაზე სწორი პასუხი ფასდება 5 ქულით. პრაქტიკული დავალების ნაწილი **ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელმა დააგროვა არანაკლებ 15 ქულა.**

**თუ გამოსაცდელი ჩააბარებს გამოცდის ტესტური დავალების ნაწილს, მაგრამ ვერ გადალახავს გამოცდის პრაქტიკული დავალების ჩაბარებისათვის საჭირო ზღვარს, ასეთ შემთხვევაში პირი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს გამოცდის მხოლოდ პრაქტიკული დავალებების ნაწილზე განმეორებით დაშვების განცხადებით, არაუმეტეს სამჯერ, ხოლო გამოცდის პრაქტიკულ დავალებაზე სამჯერ წარუმატებელი შედეგის დადგომის შემთხვევაში, პირმა ხელახლა უნდა ჩააბაროს გამოცდის ტესტური დავალებების ნაწილი.*

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის გამოცდის თემატიკა

ტესტური დავალების ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგ საკითხებს:

- ზოგადი საპრევენციო და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები
- სახიფათო ტვირთების კლასიფიკაცია
- შეფუთვის ზოგადი პირობები (მათ შორის, ცისტერნებთან დაკავშირებული)
- მარკირება და საშიშროების ნიშნების განთავსება
- სატრანსპორტო დოკუმენტებში მითითებული ინფორმაცია
- პერსონალი, პროფესიული სწავლება
- სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
- წერილობითი ინსტრუქციები
- სატრანსპორტო აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები
- სახიფათო ტვირთის გადაზიდვის, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და დამუშავების პირობები

პრაქტიკული დავალების ნაწილში გამოსაცდელმა უნდა წარმოაჩინოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებ-

ლობის სიღრმისეული ცოდნა, მათ შორის სახიფათო ტვირთის ტრანსპორ-ტირების სპეციფიკა, რისკის შეფასება სარკინიგზო შემთხვევებისა და ინციდენტების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით, ამავდროულად სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რითაც გამოსაცდელმა უნდა აჩვენოს, თუ როგორ მიიღებს გადაწყვეტილებებს სახიფათო ტვირთის უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

გამოცდაზე რეგისტრაცია

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღებ გამოცდაზე დასაშვებად, პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს განცხადება და თან დაურთოს:

- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- სწავლების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებე-ლი დოკუმენტი

სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღებ გამოცდაზე განმეორებით ან/და გამოცდის პრაქტიკული დავალებების ნაწილზე **განმეორებით დასაშვე-ბად** განმცხადებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს განცხადება და შემდეგი დოკუმენტები:

- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურე-ბელი დოკუმენტი.

გამოცდის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება

გამოსაცდელი, გამოცდის ტესტური დავალებების შედეგს გაეცნობა ელექტრონული ფორმით ტესტირების დასრულებისთანავე.

გამოცდის პრაქტიკული დავალებების შედეგების შესახებ პირს, საგამოცდო ოქმის საფუძველზე, 5 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

სპეციალისტის სერტიფიკატის გაცემა

განმცხადებელმა სერტიფიკატის მიღების მოთხოვნით, სააგენტოს უნდა მიმართოს გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. თუ განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში არ მიმართავს სააგენტოს სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნით, მან ხელახლა უნდა ჩააბაროს გამოცდა.

სერტიფიკატის მისაღებად, განმცხადებელმა გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სააგენტოში უნდა წარადგინოს განცხადება და შემდეგი დოკუმენტები:

- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატი გაიცემა ერთ ეგზემპლარად ორ ენაზე, რომელიც წარმოადგენს ორიგინალს და მისი მფლობელის საკუთრებაა.

სერტიფიკატი მოქმედია მისი გაცემიდან 5 წლის განმავლობაში.



სპეციალისტთა რეესტრის წარმოება

სააგენტო აწარმოებს სპეციალისტთა რეესტრს და მათ საკონტაქტო ინფორმაციას აქვეყნებს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

სპეციალისტის სერტიფიკატის განახლების პირობები

სერტიფიკატის ვადის 5 წლით გასაგრძელებლად სპეციალისტმა უნდა მიმართოს სააგენტოს გამოცდის ჩაბარების მოთხოვნით **სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში.**

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ახალი სერტიფიკატის 5-წლიანი ვადა აითვლება წინა სერტიფიკატის ვადის ამოწურვის დღიდან.

თუ სპეციალისტი აღნიშნულ პერიოდში არ მიმართავს სააგენტოს ან ვერ გადალახავს მინიმალურ ბარიერს და სერტიფიკატის ვადა ამოიწურება, მას მოუწევს სწავლების გავლა და გამოცდის თავიდან ჩაბარება.

სპეციალისტის სერტიფიკატის განახლება

სერტიფიკატის ვადის გასაგრძელებლად, მისი მფლობელი **ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 1 წლის განმავლობაში** მიმართავს სააგენტოს განცხადებით და წარადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და მოქმედ სერტიფიკატს.



სპეციალისტის სერტიფიკატის აღდგენა

სპეციალისტის სერტიფიკატის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, სპეციალისტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს.

მის აღსადგენად საჭიროა სააგენტოში განცხადების, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, აგრეთვე სერტიფიკატი, თუ აღდგენის მოთხოვნა განპირობებულია სერტიფიკატის დაზიანებით.

სპეციალისტის სერტიფიკატში ცვლილების შეტანა

სერტიფიკატში ცვლილების შეტანა ხდება, როდესაც მასში არსებული ინფორმაცია არასწორია, არაზუსტია ან საჭიროებს განახლებას.

ცვლილების შესატანად, პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და სერტიფიკატი, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების მოთხოვნა განპირობებულია სერტიფიკატზე მონაცემების არასწორად მითითებით.

სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული საფასურები

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურები განისაზღვრა შემდეგნაირად:

გამოცდაზე პირველადი დაშვების საფასური - 100 ლარი (თეორიული და პრაქტიკული ნაწილი), განმეორებითი დაშვება - 50 ლარი, ხოლო მხოლოდ პრაქტიკული ნაწილის გამოცდაზე განმეორებითი დაშვება - 30 ლარი.

სპეციალისტის სერტიფიკატის გაცემა, განახლება, აღდგენა და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში და თითოეული მომსახურების საფასურია 30 ლარი.

სპეციალისტის სერტიფიკატის შეჩერება და გაუქმება

სერტიფიკატის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ არსებობს ეჭვი, რომ სპეციალისტმა დაარღვია სარკინიგზო უსაფრთხოების წესები, მონაწილეობდა სარკინიგზო ინციდენტში ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ასევე თუ ის არ ასრულებს თავის ფუნქცია - მოვალეობებს კანონმდებლობის შესაბამისად.

სერტიფიკატი უქმდება მაშინ, როცა დგინდება ყალბი დოკუმენტების წარდგენა სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღებად, სპეციალისტის ბრალეულობა სერიოზულ სარკინიგზო შემთხვევებში, მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, ასევე სერტიფიკატის ვადის გასვლა, მისი დაკარგვა, დაზიანება ან განადგურება, მფლობელის გარდაცვალება, ახალი სერტიფიკატით ჩანაცვლება ან სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

რა ვალდებულება ეკისრება იურიდიულ პირს სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ჩართული პერსონალის მომზადების კუთხით?

იურიდიული პირი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მასთან დასაქმებულ პერსონალს, მათი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, გავლილი ჰქონდეს სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომზადება ან გადამზადება, რომელიც შეესაბამება ამ წესით, სახიფათო ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო რეგულაციებითა (RID/SMGS) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სახიფათო ტვირთების გადაზიდვაში ჩართული პერსონალი

პირველი კატეგორიის პერსონალი - საოპერაციო პერსონალი, რომელიც პირდაპირ ჩართულია სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში: მემანქანეები, მატარებლის შემდგენლები ან ტოლფასი ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალი;

მე-2 კატეგორიის პერსონალი - სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული ვაგონების ტექნიკურ კონტროლზე პასუხისმგებელი პერსონალი: მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებისთვის პასუხისმგებელი პირი ან ტოლფასი ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალი;

მე-3 კატეგორიის პერსონალი - პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია მატარებლის შედგენაზე, ვაგონების დახარისხებაზე, მოძრაობის მართვასა და კონტროლზე, ასევე, ინფრასტრუქტურის მენეჯერის ადმინისტრაციის პერსონალი: დისპეტჩერები, სადგურის მორიგეები, მეისრეები, ბლოკ-საგუშაგოს მორიგეები ან ტოლფასი ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალი.

სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის ზედამხედველობა

სსიპ – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო, კანონმდებლობის საფუძველზე, უფლებამოსილია განახორციელოს სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის სრულყოფილი ზედამხედველობა და მონიტორინგი. აღნიშნული მანდატი მოიცავს სამართალდარღვევათა პრევენციას, შესაბამისი წესებისა და მოთხოვნების შესრულების კონტროლს. **სააგენტო უფლებამოსილია შეამოწმოს გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ინფრასტრუქტურა, ტექნიკური საშუალებები და პერსონალი**, აგრეთვე აიღოს ნიმუშები შემოწმების მიზნით. მონიტორინგი

ხორციელდება გეგმური და არაგეგმური ფორმით, სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად. ზედამხედველობის შედეგების საფუძველზე სააგენტო იღებს სამართლებრივ გადაწყვეტილებებს, მათ შორის რეკომენდაციების გაცემას ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას.

მარდამავალი დებულება

კანონმდებლობით გათვალისწინებულ იურიდიულ პირებზე სპეციალისტის განსაზღვრის ვალდებულება ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო